**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# სილაბუსი

**2011-2012 სასწავლო წელი, I სემესტრი**

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური

**კათედრა:** პედაგოგიკა-მეთოდიკების და ფსიქოლოგიის გაერთიანებული

**სასწავლო კურსის სახელწოდება:** პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები-აღზრდის თეორია

**სასწავლო კურსის კოდი:** P.2.P. 7

**კრედიტების რაოდენობა:** 5 კრედიტი.

**სასწავლო კურსის სტატუსი:** სავალდებულო

**ასოცირებული პროფესორი:** დავით მახაშვილი, ტელ: 27-37-51 (სამსახური), მობ: 599-10-84-50 ელ. ფოსტა: davitima@rambler .ru

**ასისტენტ პროფესორი:** გივი ეჟიშვილი

**სალექციო კურსის აღწერა:** კურსის ფარგლებში სტუდენტები შეითვისებენ ყველა იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ დასჭირდებათ პედაგოგიური საქმიანობისას. სალექციო კურსის ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი საკითხები: პედაგოგიკის საგანი, ამოცანები და წყაროები, პედაგოგიკის კვლევის მეთოდები, აღზრდისა და განვითარების საკითხები. განვითარების, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, აღზრდის მიზნები და ამოცანები, მასწავლებელი, მისი პროფესიული მომზადების სისტემა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

კურსის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური სემესტრია (15 კვირა). კვირაში ჩატარდება 1 ლექცია და 2 პრაქტიკული (45 საათი სააუდიტორიო, 80 საათი დამოუკიდებელი მუშაობისათვის. სულ 125 სთ).

**სალექციო კურსის მიზანი:**

პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების მიზანია მისცეს სტუდენტს ინფორმაცია, რა წარმოადგენს პედაგოგიკური მეცნიერების საგანს, პიროვნების აღზრდისა და განვითარების კანონზომიერებებს მისი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. აგრეთვე, სტუდენტისათვის წარმატებული, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის მომზადების ძირითადი ასპექტების გაცნობა. აქედან გამომდინარე, სტუდენტმა უნდა შეძლოს:

- აღზრდის სწავლებისა და განათლების არსებითი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ცნებათა განსაზღვრა-გარჩევა;
- სწავლებისა და აღზრდის პროცესში მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება;

- კლასში ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობების წარმართვა.
– პროფესიულ საქმიანობაში სწორი საგანამანათლებლო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** არა აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ფლობს ცოდნას პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების შესახებ; იცნობს განათლების სისტემის სტრუქტურას და მიზნებს; აცნობიერებს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; | სტუდენტი ფლობს ცოდნას აღზრ-დის, სწავლებისა და განათლების არსებითი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ცნებათა შესახებ; იცის პედაგოგიკის საგანი, ამოცანები და წყაროები, პედაგოგიკის კვლევის მეთოდები, აღზრდისა და განვითა-რების საკითხები. განვითარების, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, აღზრდის მიზნები და ამოცანები. იცნობს მასწავლებ-ლის პორფესიულ სტანდარტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | აქვს საგანმანათლებლო პრობ-ლემების იდენტიფიცირებისა და ანალიზის უნარი, განათ-ლების ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელების უნარი; აქვს მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების გააზრებისა და მათზე რეაგირების უნარი; | სათანადოთ აანალიზებს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს და ეფექტურად ეძებს მათი გადაჭრის გზებს. შეუძლია კონკრეტულ სიტუა-ციებში დიალოგის წარმართვის, თანამშრომლობის, დამოუკიდებელი აზროვნებისათვის და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-–ჩვევების გამოყენება. |
| კომუნიკაციის უნარი | აქვთ ეფექტური კომუნიკაციის უნარი; აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის. | შეუძლია სტუდენტებთან და ლექ-ტორთან ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, წარმა-ტებით მუშაობს როგორც ინდივი-დუალურად, ასევე ჯგუფში პრეზენ-ტაციების მომზადება-წარდგენისა, თუ კონკრეტული დავალებების შესრულე-ბის დროს. |
| ღირებულებები | აქვს საგანმანთლებლო საქ-მიანობაში არსებული ღირე-ბულებების კრიტიკული გააზრებისა და ამ ღირებუ-ლებათა განვითარების უნარი | ფლობს არა მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობის ყველა ეთიკურ ნორმასა და ღირებულებას, არამედ შეუძლია საჭირო სიტუაციაში განმუხტოს და დაარეგულიროს სიტუაცია. შესწევს უნარი, დაარწ-მუნოს პიროვნება მისი ქცევის არა-ადექვატურობაში და შესაბამისი |

| | | |
|---|---|---|
| | | დახმარებაც გაუწიოს, რაც გამოიხატება მისი ეთიკური ღირებულებების შესაბამისი მიმართულებით განვითარებაში. |
| სწავლის უნარი | შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება და სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. | ეფექტურად ახდენს შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და თვითშეფასებას. აქედან გამომდინარე, მუდმივად ზრუნავს საკუთარი პროფესიონალიზმის განვითარებაზე. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

**ძირითადი ლიტერატურა**

1. ბასილაძე, ი., კოხრეიძე ,ქ. (2004). *პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები,* ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. მალაზონია, შ. (2001). *პედაგოგიკა.* თბილისი. ქრონოგრაფი

**დამატებითი ლიტერატურა**

1. ბერიშვილი, ჯ. (რედ). (1994). *პედაგოგიკა*, , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ჭკუასელი, ივ. (2004). *პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ვასაძე, ნ.(2000) *პედაგოგიკა*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა..
4. ბასილაძე, ი., ჭოხონელიძე,, ნ., კოსტავა, ნ.(2005). *სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური-ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება,ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
5. საქათველოს კანონი, (2004). *„უმაღლესი განათლების შესახებ“*, თბილისი.
6. საქართველოს კანონი, (2004). *„ ზოგადი განათლების შესახებ,“* თბილისი.
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. (2008). *სწავლება და შეფასება.* , თბილისი
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (2008). *სასწავლო და პროფესიული გარემო,* თბილისი.
9. თერნბული, ჯ. (2009). *პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი-პრაქტიკული გზამკვლევი პროფესიული წარმატებისათვის.* (თ.ნეფარიძე, მთარგმნელი), თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

შეფასების 100% - იანი სისტემა გადანაწილდება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება – მაქსიმალური 60%
ფინალური გამოცდა – მაქსიმალური 40 %

მათ შორის: *2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).
პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.
*2 ჯგუფური მეცადინეობა* – 20% (10% x 2)
*1 ზეპირი პრეზენტაცია* – 10%.
საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

| რეზენტაციის შეფასების პარამეტრები | ქსიმალური ქულა |
|---|---|
| ნაარსის ლოგიკურობა | ულა |
| მის გასაგებად წარმოდგება | ქულა |
| მის სრულად წარმოდგენა | ქულა |
| ზუალური საშუალებების გამოყენება | ულა |
| ლ: | ქულა |

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი სახით. გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

- ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსისუმის მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. (11ქ + 40ქ =51ქ).
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51 ქულა), იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გაიდეს საბოლოო გამოცდაზე და შუალედურ შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა.

## სალექციო კურსის სტრუქტურა

### სასწავლო კურსის შინაარსი

| ვირის ნომერი | საათების რაოდენობა | სალექციო მუშაობა Iსემესტრი<br>თ ე მ ა | სწავლების მეთოდები | ლიტერატურა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1-3 | 6 | პედაგოგიკის საგანი, ამოცანები და წყაროები, პედადოგიკა, როგორც მეცნიერება ადამიანის აღზრდის შესახებ. | ლექცია | { 1 }<br>გვ. 5-54; 2. |
| 4-6 | 6 | პედაგოგიური მეცნიერების კვლევის ტრადიციული და არა ტრადიციული მეთოდები. | ლექცია, დისკუსია | { 1 }<br>გვ. 58-73; 2. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7-9 | 6 | აღზრდისა და განვითარების ურთიერთობის პრობლემა პედაგოგიკაში, მოზარდის ქცევა, როგორც განვითარების ფაქტორი. | ლექცია, დისკუსია | { 1 } გვ.73-114; 2. |
| 10-12 | 6 | განვითარების ასაკობრივი და ინდივიდუალური განვითარების თავისებურებანი, აქსელერაცია, ასაკობრივი საფეხურების დახასიათება. | ლექცია, დისკუსია | { 1 } გვ.114-151; 2. |
| 13-14 | 3 | აღზრდის მიზანი და ამოცანები, პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა. განათლების სახელმწიფო პროგრამა საქართველოში | დისკუსია, ლექცია | { 1 } გვ.151-181; 2. |
| 14-15 | 3 | თანამედროვე სკოლის მასწავლებელი, მისი პროფესიული მომზადების სისტემა. | ლექცია | { 1 } გვ.181-198; 2. |